შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიდომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №9დ-ში მდებარე ნაკვეთზე, ს/კ: 01.17.12.003.168;
მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

(კორექტირებული)

საექსპერტო შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

ქ. თბილისი 2024 წ.

ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №9დ-ში მდებარე ნაკვეთზე, ს/კ: 01.17.12.003.168;
მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის (კორექტირებული)

საექსპერტო შეფასება

ექსპერტიზის მიზანი: პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შეფასება და შესაბამისობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან.

კორექტირება ითვალისწინებს მცერე ცვლილებებს არქიტექტურულ პროექტში, არის, ძირითადად, გეგმარებითი ხასიათის, არ ითვალისწინებს შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ცვლილებებს და გავლენას არ ახდენს შენობის მდგრადობაზე.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალები:

1. არქიტექტურული-სამშენებლო ნაწილი;
2. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
4. შენობის კონსტრუქციული ანგარიში.

გაფრთხილება

გაცნობილი ვარ ექსპერტის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გაცნობილი ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლს.

ექსპერტი შემსრულებელი:

ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი ზაურ სილაგაძე, სპეციალობით მუშაობის უწყვეტი სტაჟი 45 წელი.

კვლევითი ნაწილი

არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის საფუძველზე, საპროექტო შენობა თვრამეტ სართულიანია, მიწის ზემოთ, აქვს ორი მიწისქვეშა სართული. შენობა გეგმაში, ძირითადად, მართკუთხა ფორმისაა, განსვავებული ზომის გამონაშვერებით, კონსოლური აივნების სახით.

შენობის სართულების სიმაღლეებია:

მიწისქვეშა I სართული (-5.80-ზე)– 2.8 მეტრი;

მიწისქვეშა II სართული (-3.00-ზე) – 3 მეტრი (ძირითადი შენობა) და 2.80 მეტრი (პარკინგის ნაწილი);

პირველი სართული – 4.5 მეტრი.

დანარჩენი სართულები – 3.3 მეტრი.

შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 63.55 მ. სამანქანო განყოფილების ჩათვლით.

სამშენებლო მოედნის სეისმოაქტივობა შეადგენს 8 ბალს MSK64 შკალის მიხედვით. უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის მიხედვით, შენობის დაფუძნება ხდება ფენა 2-ზე. კენჭნაროვან-ხრეშოვან გრუნტზე, რომელთა საანგარიშო მაჩვენებლებია:

- სიმკვრივე – 1.92 გ/სმ^3;
- შინაგანი ხახუნის კუთხე – 35^0;
- ხვედრითი შეჭიდულობა – 1 კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული - 300 კგძ/სმ^2;
- საანგარიშო წინაღობა – 3.5 კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი 0.27.

შენობის კონსტრუქციული ანგარიში შესრულებულია პროგრამა LIRA_SAPR-ის გამოყენებით (ᲡᲜ 01.01-09) "სისმომედეგი მშენებლობა" მოთხოვნათა სრული დაცვით.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტებია:

საძირკველი – რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა, სხვადასხვა სისქით: შენობის ძირითადი ნაწილი - 130 სმ; პარკინგის ნაწილი 50 სმ. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

კოლონები – მონოლითური რკინა-ბეტონი სხვადასხვა განიკვეთით 100X60 სმ, 70X70 სმ; 60X60 სმ; 50X50 სმ. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

რიგელები – მონოლითური რკინა-ბეტონი, განიკვეთით 50X60 სმ. და 50X50 სმ. ფილის სისქესთან ერთად. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

დიაფრაგმები – მონოლითური რკინა-ბეტონი, სისქით 30 სმ. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

გადახურვის ფილები – მონოლითური რკინა-ბეტონი, სისქით 20 სმ. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

კიბის უჯრედი – მონოლითური რკინა-ბეტონი, სისქით 20 სმ. ბეტონი B30, არმატურა B500B და B240;

კედლების შევსება და ტიხრები, წვრილი საკედლე ბლოკი, მოცულობითი წონით არაუმეტეს 800 კგ/სმ^3.

მუშა ნახაზები დამუშავებულია კონსტრუქციული ანგარიშისა და არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის საფუძველზე, დასამუშავებელია დეტალები.

დასკვნა: ექსპერტი დადებით შეფასებას აძლევს წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტს და რეკომენდაციას უწევს მშენებლობის ნებართვის მისაღებად და განსახორციელებლად.

კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.